**იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

## სასწავლო კურსის სილაბუსი

**სასწავლო კურსის სახელწოდება:** საგნის თეორიული საფუძვლები II ( სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია)

**სასწავლო კურსის კოდი:**

**ლექტორები:** იზა ჭინჭარაშვილი, ასოცირებული პროფესორი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის კათედრა, ტელ: 899239353, e-mail : iza709@mail.ru

კონსულტაციების დრო და ადგილი: ყოველი სასწავლო კვირის ორშაბათი, 10 საათიდან 13 საათამდე, თელავის ი. გოგებაშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის I კორპუსის IV სართული, გეოგრაფიის კათედრა

ვლადიმერ გორგიშელი, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი, გეოგრაფიის კათედრა, ტელ: 898950732.

**კრედიტების რაოდენობა (ECTS):** 5 კრედიტი, (125სთ.) საკონტაქტო 45სთ. მათ შორის: 15სთ. ლექცია; 30სთ. პრაქტიკული. დამოუკიდებული მუშაობისთვის 80სთ.

**სასწავლო კურსის სტატუსი:** სავალდებულო კურსი, გათვალისწინებულია პედაგოგიური ფაკულტეტის "სწავლების მეთოდიკის" სპეციალობის სტუდენტთათვის მაგისტრატურაში II სემესტრში.

**სასწავლო კურსის მიზნები:** სასწავლო კურსის მიზანია საქართველოსა და მეზობელი ქვეყნების, მსოფლიო რეგიონებისა და წამყვანი სახელმწიფოების ბუნებრივი რესურსებისა და ეკონომიკის დარგობრივი სტრუქტურის განხილვა _ როგორია ამ რესურსების გამოყენების შესაძლებლობა და როგორ ვითარდება აღნიშნული პოტენციალის საფუძველზე მეურნეობა ქვეყანაში, როგორია მოსახლეობის ფორმირების ფაქტორები, მისი ტერიტორიული განლაგების და განვითარების თავისებურებები, განათლების, მეცნიერების, კულტურის სფერო, ეკლესია, ხუროთმოძღვრება და ა.შ.

**სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობები:** საგნის თეორიული საფუძვლები I ( ფიზიკური გეოგრაფია)

**სასწავლო კურსის სწავლის შედეგები:**

| | | |
|---|---|---|
| ცოდნა და გაცნობიერება | ეცოდინებათ საკუთარი ქვეყნის ბუნებრივი რესურსები და მეურნეობა<br><br>ეცოდინებათ მსოფლიოს წამყვანი და განვითარებული ქვეყნების სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია | ეცოდინებათ ქვეყნის რესურსები და ეკონომიკა, მოსახლეობა, სოციალური სფერო, შეეძლებათ მსჯელობა და დასკვნების გამოტანა გარემოს რაციონალური გამოყენების საკითხებზე. გაცნობიერებული ექნებათ ურთიერთდამოკიდებულება ბუნებრივ და |

| | | |
|---|---|---|
| | | სოციალურ გარემოს შორის, შეეძლებათ მსოფლიო პოლიტიკური რუკის კითხვა, ცალკეული სახელმწიფოების დახასიათება |
| დასკვნის უნარი | შეეძლებათ დაკვირვებების საფუძველზე დასკვნების გამოტანა | შეეძლებათ ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიება, განზოგადება, ანალიზი და დასკვნების გამოტანა, თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება |

**სასწავლო კურსის შინაარსი:**

**I კვირა. თემა 1.** საქართველოს პოლიტიკურ-გეოგრაფიული თავისებურებები(ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
ტერიტორიის ფორმირება, საზღვრები, მდებარეობა: ფიზიკურ-გეოგრაფიული, კულტურულ-გეოგრაფიული, პოლიტიკურ-გეოგრაფიული. წესწყობილება და ადმინისტრაციულ-ტერიტორიული მოწყობა. ეროვნული უსაფრთხოება.
(ლიტ: [1] გვ.13-26)

**II კვირა. თემა 2.** საქართველოს მოსახლეობა (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.) რიცხოვნობის დინამიკა, ბუნებრივი მოძრაობა, მექანიკური მოძრაობა. მოსახლეობის სტრუქტურა: სქესობრივ-ასაკობრივი შემადგენლობა, ეროვნული სტრუქტურა, სოციალური შემადგენლობა, რელიგიური სტრუქტურა. საქართველოს მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა
(ლიტ: [1] გვ.27-55) (ლიტ: [2] გვ.132-136; 141-158)

**IIIკვირა. თემა 2.** საქართველოს მოსახლეობა (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
განსახლება: განსახლების ფორმირების ძირითადი ფაქტორები (ეკონომიკური ანუ საწარმოო ფაქტორი, ისტორიული ფაქტორი), მოსახლეობის ტერიტორიული განლაგება და სიმჭიდროვე. სასოფლო განსახლება, საქალაქო განსახლება, ურბანიზაცია
(ლიტ: [1] გვ. 56-73) (ლიტ: [2] გვ.136-141, 158-163)

**IV კვირა. თემა 3.** საქართველოს მეურნეობის ზოგადი მიმოხილვა. მრეწველობა, დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა. სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობა, მეტალურგია, ქიმიური მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, საშენ მასალათა მრეწველობა, ხე-ტყის მრეწველობა, მსუბუქი მრეწველობა, კვების მრეწველობა. (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
(ლიტ: [1] გვ.74-109) (ლიტ: [2] გვ.166-193)

**V კვირა. თემა 4.** სოფლის მეურნეობა (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
ზოგადი დახასიათება, სასოფლო-სამეურნეო მიწის რესურსი. სოფლის მეურნეობის ტერიტორიული და დარგობრივი სტრუქტურა, მემცენარეობა, მეცხოველეობა.
(ლიტ: [1] გვ.110-131) (ლიტ: [2] გვ.194-204)

**VI კვირა. თემა 5.** ტრანსპორტი, კავშირგაბმულობა, მომსახურების სფერო (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
ტრანსპორტის ზოგადი მიმოხილვა, რკინიგზის ტრანსპორტი, საავტომობილო ტრანსპორტი, საზღვაო ტრანსპორტი, საჰაერო ტრანსპორტი, საჰაერო-საბაგირო ტრანსპორტი, მილსადენი

ტრანსპორტი. კავშირგაბმულობა. განათლება, მეცნიერება, ჯანმრთელობის დაცვა, კულტურა, შიდა ვაჭრობა, საბინაო-კომუნალური მეურნეობა, საყოფაცხოვრებო მომსახურება.
(ლიტ: [1] გვ.132-166) (ლიტ: [2] გვ.206-213, 227-231)

**VII კვირა. თემა 6.** ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობა, საგარეო-ეკონომიკური კავშირები (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
ტურისტულ-რეკრეაციული რესურსები, ტურისტულ-რეკრეაციული მეურნეობის განვითარება. ტურისტულ-რეკრეაციული რაიონები, განვითარების თავისებურებანი.
(ლიტ: [1] გვ.167-189) (ლიტ: [2] გვ.213-230)

**VIII კვირა. თემა 7.** საქართველოს სოციალური გეოგრაფია (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
განათლების, სამეცნიერო და კულტურის, სამედიცინო დაწესებულებათა გეოგრაფია. დანაშაულის გეოგრაფია, ქართული მართლმადიდებელი ეკლესია, ქართული ხუროთმოძღვრება.
(ლიტ: [2] გვ.231-259)

**IX კვირა. თემა 8.** რუსეთი, სომხეთი, აზერბაიჯანი, თურქეთი (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
(ლიტ. [3] გვ. 59-65-71)

**X კვირა. თემა 9.** გერმანია, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთის და ჩრ. ირლანდიის გაერთიანებული სამეფო (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
(ლიტ. [3] გვ. 15-29)

**XI კვირა. თემა 10.** იტალია, ავსტრია, შვეიცარია, ევროპის ჯუჯა ქვეყნები. (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
(ლიტ. [3] გვ. 30-40)

**XII კვირა. თემა 11.** ამერიკის შეერთებული შტატები (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
(ლიტ. [3] გვ. 41-47)

**XIII კვირა. თემა 12.** ჩინეთი, იაპონია, სამხრეთ კორეა (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
(ლიტ. [3] გვ. 48-58)

**XIV კვირა. თემა 13.** სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკა, ავსტრალია (ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
(ლიტ. [3] გვ. 78-86)

**XV კვირა. თემა 14.** მსოფლიო პოლიტიკური რუკა, მსოფლიო მოსახლეობა, ევროპის პოლიტიკური რუკა, აზიის პოლიტიკური რუკა, სამხრეთ-დასავლეთ აზია, ლათინური ამერიკა, აფრიკის ქვეყნები.(ლექცია 1 სთ. პრაქტიკ. 2 სთ.)
(ლიტ. [3] გვ. 2-14)

**სწავლებისა და სწავლის მეთოდები:** ლექცია, სემინარები, ზეპირი გამოკითხვები, კოლოქვიუმები (2) და პრეზენტაცია.

შეფასების კრიტერიუმები: **(იხ. http://tesau.edu.ge/?p=3848#more-3848)**

შეფასების 100% გადანაწილდება შემდეგი სახით:

**შუალედური შეფასება** _ მაქსიმალური 60%

მათ შორის: 2 წერითი სამუშაო – 30% (15% X 2).
პირველი წერა ჩატარდება სემესტრის I ნახევარში, მეორე – სემესტრის ბოლოს. წერის თარიღსა და თემატიკაზე სტუდენტები წინასწარ იქნებიან ინფორმირებულნი. წერის ხანგრძლივობა 50 წთ.
4 ჯგუფში მუშაობა _ 20% (5% X 4).
ეს 20% უნდა დაგროვდეს მთელი სემესტრის განმავლობაში ჯგუფში მუშაობით.
1 ზეპირი პრეზენტაცია _ 10%.
საპრეზენტაციო თემას სტუდენტები შეარჩევენ საკუთარი სურვილით გავლილი თემატიკიდან, ხოლო პრეზენტაციის თარიღსა და დროს შეათანხმებენ პროფესორთან. რეგლამენტი 10-15 წთ.

**დასკვნითი გამოცდა** _ მაქსიმალური 40%
დასკვნითი გამოცდა ჩატარდება, როგორც წესი, წერითი სახით. G
გამოცდის ხანგრძლივობა 2 სთ.

**შეფასებები არსებობს შემდეგი სახის:**
ა) (A) ფრიადი _მაქსიმალური შეფასება 91% და მეტი
ბ) (B) ძალიან კარგი _ მაქსიმალური შეფასების 81-90%
გ) (C) კარგი _ მაქსიმალური შეფასების 71-80%
დ) (D) დამაკმაყოფილებელი _ მაქსიმალური შეფასების 61-70%
ე) (E) საკმარისი _ მაქსიმალური შეფასების 51-60%
უარყოფითი შეფასებებია:
ა) (FX) ვერ ჩააბარა _ მაქსიმალური შეფასების 41-50% (აქვს დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება)
ბ) (F) ჩაიჭრა _ მაქსიმალური შეფასება 40% და ნაკლები (საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი)

**ძირითადი ლიტერატურა:**
თესაუ ბიბლიოთეკა

1.საქართველოს გეოგრაფია, (2003), თბ., ნაწ. II. სოციალურ-ეკონომიკური გეოგრაფია, საქართველოს მეცნიერებათა აკადემია, გეოგრაფიის ინსტიტუტი
2. საქართველოს გეოგრაფია, (2000), თბ., ივ.ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქ. გეოგრაფიის კათედრა
3. ცალკეული ქვეყნების ბუნებრივი რესურსები და ეკონომიკა, ი. ჭინჭარაშვილი, (სალექციო კურსის ელექტრონული ვერსია), 2010.